


გადაფასება

გადაფასების ოპერაციის შესასრულებლად გამოიძახეთ ძირითადი საშუალებების სია - „ამოცანები/ ძირითადი საშუალებები/ძირითადი საშუალებები სია“. თავდაპირველად იმ ძირითად საშუალებებს, რომელთა გადაფასებაც უნდა მოხდეს ველში „საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა“ უნდა მიუთითოთ გადასაფასებელი თანხის ოდენობა.

კოდი	დასახელება	ქცეის ზონა ცხ ფში	მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა	ცვეთის წლიური კოეფიციენტი	დარიცხვის თვეების რაოდენობა	ნარჩენი ღირებულება	ცვეთის დასარიცხი თანხა	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა	დღე
1	კომპიუტერი				12	10.169.49	1.016.95			
6	სკამი				12	1.200.00	240.00			
21	მაგიდა				12	1.500.00	300.00			

მაგალითისთვის კომპიუტერი ავაფასოთ 200 ლარით, ხოლო მაგიდა ჩამოვაფასოთ 150 ლარით. ამისათვის გააკორექტირეთ კომპიუტერის გასწვრივ ველი „საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა“ მასზე მაუსის ორჯერ დაწკაპებით და შეიტანეთ თანხა. ან გამოიყენეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე F2). ეკრანზე იხილავთ ძირითადი საშუალების ბარათს. გადადით ბარათში „ცვეთა“ და ველში „საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა“ მიუთითეთ 200.

ძირითადი საშუალებების კორექტირება

შტრის კოდი: 1

დასახელება: კომპიუტერი

მთავარი | თარიღები | ცვეთა | სხვადასხვა

ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი

საბალანსო ღირებულება: 10169.49 (A)

ცვეთა შემენის დოკუმენტით: 0

სალიკვიდაცხო ღირებულება: 0 (R)

მომსახურების ვადა: 10 (J)

პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში: 0 (K)

პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში: 0 (L)

მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა: 0 (M)

ცვეთის წლიური კოეფიციენტი: 0 (B)

დარიცხვის თვეების რაოდენობა: 12 (C)

ნარჩენი ღირებულება: 10169.49 (D)


ცვეთის დასარიცხი თანხა: 1016.95 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(J*12))^*C$


ჯამური ცვეთა: 0 (G) A-D

საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა: 200 (F)

ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა: 0 (S) $G*(F*100/A)/100$


შეინახოთ | უარი

შეინახეთ ცვლილებები. მაგიდის შემთხვევაში რადგან ხდება ჩამოფასება თანხა შეიტანეთ „-“ ნიშნით, ანუ მიუთითეთ „-150“. გადაფასების ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს .



ყურადღება მიაქციეთ, რომ ეკრანის ზედა ნაწილში მოცემულია მითითება იმის შესახებ, თუ რომელ ძირითად საშუალებებზე შესრულდება გადაფასების ოპერაცია.

გადაფასების ოპერაციის შესრულება შესაძლებელია როგორც ყველა ძირითად საშუალებაზე, ასევე მონიშნულ ძირითად საშუალებებზე იმისდა მიხედვით, თუ რომელ მოსანიშნს მონიშნავთ. ჩვენს შემთხვევაში მონიშნეთ „ყველა (ეკრანზე არსებულ) ძირითად საშუალებაზე“. მიუთითეთ ოპერაციის თარიღი და დოკუმენტის ნომერი.

ველი „გადაფასების შემოსავლის ანგარიში“ ავტომატურად არის შევსებული, თუმცა შეცვლა შესაძლებელია. აღნიშნულ ველში ანგარიშის ნომრის შეტანის დროს იხილავთ ყველა იმ ანგარიშის ჩამონათვალს, რომელთა ნომრებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი ციფრებით. ან ველის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი ანგარიში. ჩვენს შემთხვევაში ავირჩიოთ მაგალითად 8190 (სხვა არასაოპერაციო შემოსავალი). ამის მსგავსად შეგიძლიათ შეცვალოთ „გადაფასების ხარჯის ანგარიში“.

ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე კომენტარის ველი სისტემამ ავტომატურად შეავსო. თუმცა შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია. ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „OK“

ვნახოთ როგორ აისახა გადაფასების ოპერაცია ძირითადი საშუალებების ბარათში. ამისათვის გააკორექტირეთ მაგალითად კომპიუტერი და გადადით ბარათში „ცვეთა“

მხრითადი საშუალებების კორექტირება

შტრის კოდი 1

დასახელება კომპიუტერი

მთავარი თარიღები ცვეთა სხვადასხვა

ცვეთის დარიცხვის მეთოდი წრფივი

საბალანსო ღირებულება 10369.49 (A)

ცვეთა შემენის დოკუმენტით 0

სალიკვიდაციო ღირებულება 0 (R)

მომსახურების ვადა 10 (J)

პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში 0 (K)

პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში 0 (L)

მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა 0 (M)

ცვეთის წლიური კოეფიციენტი 0 (B)

დარიცხვის თვეების რაოდენობა 12 (C)

ნარჩენი ღირებულება 10369.49 (D)

ცვეთის დასარიცხი თანხა 1036.95 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(J*12))^C$

ჯამური ცვეთა 0 (G) A-D

საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა 0 (F)

ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა 0 (S) $G*(F*100/A)/100$

შევიწახოთ უარი

დაინახავთ რომ საბალანსო და ნარჩენი ღირებულება გაიზარდა 200 ლარით და თავიდან გადაითვალა სისტემამ ცვეთის დასარიცხი თანხა. ხოლო საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა განულდა. შეინახეთ ბარათი. მაგიდის შემთხვევაში კი ნახავთ რომ 150 ლარით შემცირდებოდა საბალანსო და ნარჩენი ღირებულება.

იმისათვის რომ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული გადაფასების ოპერაციის შესაბამისი საბუღალტრო გატარებები, გამოიძახეთ მენიუ ბუღალტერია/გატარებები

გატარებები

პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022]

	გადაღ	დოკუმენტის დასახელება	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა
25	2...			1	14.11.2021 14...	2170 21	21 მაგიდა	1,500.00		GEL
26	2...			1	14.11.2021 14...	1690 5	0005 მაგიდა		1,500.00	GEL
▶ 27	2...		ძირითადი საშუალებების გადაფასება		15.11.2021 00...	2160 3	1 კომპიუტერი	200.00		GEL
28	2...		ძირითადი საშუალებების გადაფასება		15.11.2021 00...	8190	სხვა არასაოპერაციო ...		200.00	GEL
29	2...		ძირითადი საშუალებების გადაფასება		15.11.2021 00...	2170 21	21 მაგიდა		150.00	GEL
30	2...		ძირითადი საშუალებების გადაფასება		15.11.2021 00...	8290	სხვა არასაოპერაციო ...	150.00		GEL

გააკორექტირეთ ოპერაცია.

ოპერაციის კორექტირება


ოპერაციის თარიღი: 15.11.2021 00:13:32





დოკუმენტის: ოპერაციის ტიპი: ძირითადი საშუალებების გადაფასება

კომენტარი: ძირითადი საშუალებების გადაფასება

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებიტის რაოდენობა	კრედიტის რაოდენობა	შენიშვნა
▶ 1	2160 3	1 კომპიუტერი	200.00		GEL	საერთო ღირ...			ცვ...
2	8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		200.00	GEL	საერთო ღირ...			
3	2170 21	21 მაგიდა		150.00	GEL	საერთო ღირ...			ცვ...
4	8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	150.00		GEL	საერთო ღირ...			

როგორც ხედავთ გატარებები შესრულდა მხოლოდ იმ ძირითად საშუალებებზე, რომელთაც შევსებული ქონდათ ველი „საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა“ მიუხედავად იმისა, რომ გადაფასების ოპერაცია შევასრულეთ ეკრანზე არსებულ ყველა ძირითად საშუალებაზე. დახურეთ ეკრანი.

ასევე საბუღალტრო ოპერაციის ნახვა შეგიძლიათ ძირითადი საშუალების ეკრანიდან. მონიშნეთ გადაფასებული ძირითად საშუალება და დააჭირეთ ღილაკის  გვერდით მდებარე შავ ისარს. ჩამოიშლება ჩამონათვალი:

-  ძირითადი საშუალების ბარათი
-  ძირითადი საშუალების დეტალური ბარათი
-  გატარებები
-  ბრუნვები

აირჩიეთ ჩამონათვალიდან „გატარებები“

გატარებები

პერიოდი [01.01.2021 - 16.11.2021]

	გადაღ	დოკუმენტის დასახელება	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი
1			კაპიტალიზაცია		20.01.2021 21...	2160 3	1 კომპიუტერი	169.49		GEL	საერთო
▶ 2			ძირითადი საშუალებების გადაფასება		15.11.2021 00...	2160 3	1 კომპიუტერი	200.00		GEL	საერთო